

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ყოფილ ტურბაზა “თბილისს”, სადაც განთავსებული არიან დევნილები, უტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შენობა შედგება სამი კორპუსისგან: 3-სართულიანი, 1-სართულიანი და 2-სართულიანი კორპუსებისგან, რომელთა შიგა სივრცეები დაკავშირებულია ერთმანეთთან. ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულია შენობის შიგა სივრცეში კორიდორების მოწესრიგება, გარედან ფასადების მოწესრიგება, ასევე სარდაფში გამავალი საკანალიზაციო მილების რეაბილიტაცია, სარინელის მოწყობა.

ჩვენს მიერ, ტექნიკური დავალების შესაბამისად, შესწავლილ იქნა მთელი ობიექტი და შევადგინეთ აზომვითი ნახაზები.

3-სართულიან კორპუსში გათვალისწინებულია: პირველ რიგში, სახურავის რეაბილიტაციის საწყის ეტაპზე, ანტენების დემონტაჟი, შემდეგ, არსებულ ბრტყელ გადახურვაზე არსებული რუბეროიდის და ამორტიზირებული სილა ცემენტის ხსნარის აღება და შემდეგ მასზე მოეწყო 3 სმ სისქის ქვიშა-ცემენტის ხსნარი, შემდეგ ლითონის 2 ფენა. კედლებზე, მთელ სიგრძეზე მოეწყო წყალშემკრები ღარები და წყალმიმღები მილები, დიამეტრით 150 მმ. სახურავის რეაბილიტაცია მოხდება ასევე მინაშენებზე, როგორც წინა, ასევე უკანა ფასადის მხარეს. არსებულ ქანობიან გადახურვებზე, ლითონის ფურცლების სანაცვლოდ მოეწყო ახალი გოფირებული ლითონის ფურცლები. ასევე შეიცვლება დაზიანებული ხის მასალა. მინაშენებზე მოეწყო დამატებით საწვიმარი ღარები და მილები. გვერდით კედლების პარაპეტზე მოეწყო ლითონის ფურცლები.

3-სართულიანი კორპუსის კორიდორებს ჩაუტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ, აიყრება იატაკზე ლინოლეუმი, კედლებიდან ჩამოიხსნება ხის პანელები, კიბის უჯრედის ფანჯრებზე მოიხსნება მინაბლოკი, მოიხსნება კორიდორში გარედან შემავალი

ხის კარებები, ხის კარებები მოიხსნება მეორე კიბის უჯრედში, ასევე მოიხსნება ბინებში შესასვლელი კარებები და საკანალიზაციო შახტის კარებები; მოიხსნება აივანზე გასასვლელი კარებები და ხის ფანჯრები. ნაცვლად, მოეწეობა: კორიდორებში ხაოიანი მეტლახის ფილები, კედლები შეიფითხება და შეიღებება, ელ. მომარაგების ქსელები ჩაიდება პლასტმასის ყუთებში, ბინებში შესასვლელ დიობებში ჩაისმება რკინის კარებები, შახტის შესასვლელებში – ახალი კარებები, კორიდორში მოეწეობა ახალი განათებები, აივნებზე გამავალ დიობებში ჩაისმება მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები, სადარბაზოს შესასვლელ დიობში ჩაისმება რკინის კარებები; კიბის უჯრედში, მინაბლოკის ნაცვლად მოეწეობა მეტალო-პლასტმასის ფანჯრები, აქედან ორი – გაღებით. 3-სართულიანი კორპუსის გარე ფასადებზე ჩამოიხსნება არსებული ფილები, ჩამოიყრება დაზიანებული ნაღესები, აივნებზე, სადაც მოწეობილი იყო დაზიანებული ხის ფანჯრები, ამოშენდება მსუბუქი ბლოკით და მოეწეობა მეტალო-პლასტმასის ფანჯრები, ხოლო იქ, სადაც დარჩენილია აივნები, მათზე გამავალი კარ-ფანჯრები შეიცვლება მეტალო-პლასტმასით. მინაშენებზე კი ხის კარებები შეიცვლება რკინის კარებებით, ხოლო ხის ფანჯრები შეიცვლება მეტალო-პლასტმასით. სამივე კორპუსის ბინების ყველა ფანჯრის თითო ფრთა იქნება ევროგაღებით, ხოლო მეორე ფრთა ჩვეულებრივი გაღებით. ამონაშენები კედლები შიგნიდან შეიღესება, ხოლო გარედან მთლიანი ფასადი შეიღესება ნესტგამძლე ქვიშაცემენტის ხსნარით, დაიბრიზგება და შეიღებება ნესტგამძლე მომწვანო-ლიმონისფერი საღებავით, ცოკოლი კი ნაცრისფერით.

2-სართულიან კორპუსს ანალოგიურად ჩაუტარდება სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაო – მოეწეობა სახურავი ერთი ქანობით, აიღება ძველი რუბეროიდი და სილა ცემენტის ხსარი, დაიყრება პემზა, მოეწეობა ახალი სილა ცემენტის ხსნარი, ლინოკრონის 2 ფენა, თავისი საწვიმარი ღარითა და მიღებით.

კორიდორებში მოიხსნება ხის პანელები, იატაკიდან აიღება ლინოლეუმი, შეიფითხება კედლები და ჭერი შეიღებება ღია ფერის საღებავით. რეაბილიტაცია ჩაუტარდება კიბის უჯრედს. კორიდორებში დაიგება ხაოიანი მეტლახის ფილები. ფასადზე ჩამოიხსნება ფილები, დაზიანებული ნაღესები, მოიხსნება ხის ფანჯრები, კარების დიობის ნაწილი ამ-

ოშენდება და პირველ სართულზე მოეწყო რკინის კარებები. რკინის კარებები მოეწყო
ობა ასევე მინაშენზე, რომელიც გამოდის პირველი სართულის სახურავზე. ხის ფანჯრე-
ბის ნაცვლად ორსართულიანი კორპუსის გვერდითი და უკანა ფასადის მხარეს ჩაისმება
მეტალო-პლასტმასის ფანჯრები. ასეთივე ფანჯრები მოეწყო მინაშენზეც. მინაშენზე
ასევე მოეწყო საწვიმარი ღარი და მილები. კედლები გარედან შეილესება ნესტგამძლე
ქვიშა-ცემენტის ხსნარით, დაიბრიზგება და შეიღებება ნესტგამძლე საღებავით.

1-სართულიანი კორპუსის სახურავზე მოიხსნება გადახურვაზე მოწყობილი რუბეროი-
დი, წინა ფასადის კონსოლზე არსებული პლასტმასის შეფუთვა, გადასასვლელ ხიდზე
და უკანა კონსოლის დაზიანებული ნაწილები მოიხსნება და მოეწყო ახალი გადახურ-
ვა, კერძოდ, სახურავზე მოეწყო პემზა ქანობის მისაცემად, საშუალოდ 10 სმ სისქით,
შემდეგ 4 სმ სისქით ქვიშა-ცემენტის მოჭიმვა და გადაეკვრება 2 ფენა რუბეროიდი. უკ-
ანა და წინა კონსოლების დაზიანებული ნაწილები აღდგება, გადასასვლელზე მოეწყო-
ბა ბეტონის მოჭიმვა 4 სმ სისქით. სახურავზე მოეწყო საწვიმარი ღარები და მილები.
ისინი ასევე მოეწყო კორპუსის უკანა ფასადზე მოწყობილ მინაშენზე. სახურავზე არ-
სებული ლითონის მოაჯირები გაიწმინდება და შეიღებება მუქი ფერის საღებავით.

1-სართულიანი კორპუსის შიგა სივრცეში კედლებიდან ჩამოიფხიკება ნაღესები, ხო-
ლო დიობები ამოშენდება, ხის კარებები ჩამოიხსნება და მოეწყო ახალი რკინის კარე-
ბები, ჭერზე მოეწყო პლასტიკატის შეკიდული ჭერი თავისი განათებებით. კორიდორის
ერთ ნაწილში მოეწყო მეტლახის ხაოიანი ფილები. მთელ სივრცეში კედლები შეიფი-
თხება და შეიღებება. შენობის უკანა მხარეს არსებულ მინაშენზე მოეწყო მეტალო-
პლასტმასის ფანჯრები და რკინის კარებები და შეილესება ნესტგამძლე სილა-ცემენტის
ხსნარით, დაიბრიზგება და შეიღებება ნესტგამძლე მომწვანო ლიმონისფერი საღებავით,
ცოკოლი – ნა-

ცრისფერით. შესაბამისად შეილესება და შეიღებება აღნიშნული კორპუსის ძირითადი
ფასადებიც.

სამივე კორპუსის შენობის გარშემო მოეწყო სარინელი, ხოლო 3-სართულიანი კო-
რპუსის სარდაფი გასუფთავდება ფეკალური ნარჩენებისგან და მოეწყო ახალი საკანა-
ლიზაციო მწოლანა პირველ ჭამდე. გარეთ არსებულ საკანალიზაციო ჭებსა და მილებს

ჩატარდება გაწმენდითი სამუშაოები.

არქიტექტორი

ზ. ვაშაკიძე